ფილიპინებისა და ვიეტნამის ეპარქიამ კესონის ღარიბი ოჯახებისთვის ცხელი სადილი მოამზადა



ფილიპინებისა და ვიეტნამის ეპარქიის საქველმოქმედო განყოფილების თანამშრომლებმა კესონის პროვინციაში მცხოვრები გაჭირვებული ოჯახებისთვის ცხელი საკვების რეგულარულად მიწოდების ორგანიზება მოახდინეს. ყოველ კვირას ეპარქიის მღვდლები და მოხალისეები მიდიან პროვინციაში და დაახლოებით 70 ულუფა ცხელ საჭმელს არიგებენ.

ასევე, გასული წლის განმავლობაში, ფილიპინებისა და ვიეტნამის ეპარქიის მღვდლებმა და მოხალისეებმა ლაგუნას, კავიტისა და ბატანგასის პროვინციების სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებულებს ჰუმანიტარული დახმარება გაუწიეს. 2021 წლის ივლისისა და ნახევარი აგვისტოს განმავლობაში ისინი ეწვივნენ ბატანგასის პროვინციას, სადაც ცდილობდნენ დახმარებოდნენ გაჭირვებულებს, რომლებიც ვულკანის ამოფრქვევასთან დაკავშირებით ევაკუირებულნი იყვნენ.

პანდემიის დროს, ფილიპინების მართლმადიდებელმა მღვდლებმა, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდალური საქველმოქმედო განყოფილების მხარდაჭერით, არაერთხელ გადასცა პროდუქტების კრებული მოშიმშილე ოჯახებს. პროდუქტების პირველი განაწილება 2020 წლის 22 მაისს

მოხდა.

2020 წლის ივნისიდან, სინოდალური საქველმოქმედო განყოფილების მიერ სახსრების შეგროვებისთვის პორტალ „Милосердие.ру-სთან ერთად ორგანიზებული ერთობლივი პროექტის – „Антивирус Милосердия“ ფარგლებში, პროდუქტებით დახმარება მიიღო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის 80 ეპარქიის გაჭირვებულებმა რუსეთში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, მოლდოვაში, აღმოსავლეთ ტიმორში და ფილიპინებში. უკიდურესად გაჭირვებული ადამიანებისთვის სასურსათო პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების აუცილებელი ნივთების შესყიდვისთვის სახსრების მოძიების შეგროვებაში მხარდაჭერა შესაძლებელია საიტზე eda.help.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური/

რმე-ს სინოდალური საქველმოქმედო განყოფილების მასალების მიხედვით

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87979/